პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 19 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 135 (833) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ცვალებადელნო, მტკიცედ მოკიდეთ ხელი სამხედრო სწავლებას.

პირველი ცნობები ტერშეკრების შესახებ უკვე საკმაოდ გვიხატავენ მისი წარმატებით მსვლელობას.

მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა უკლებლად და ერთსულოვნად მიეშურება ტერნაწილების რიგებში. მისი პირველი შთაბეჭდილებანი წითელი ყაზარმისაგან კარგია. ცვალებადელნი სიამოვნებით ეცნობიან თავის ახალ ბინას, ჯარის ცხოვრებისა და მომავალი მუშაობის პირობებს.

სამუშევარი კი ჩვენ ახალგაზრდა ტერარმიელებს საკმაოდ ბევრი აქვთ. ისინი სულ რამოდენიმე თვე იქნებიან წითელ ყაზარმაში. ამ ხნის განმავლობაში მათ საკმაოდ უნდა შეისწავლონ სამხედრო საქმე.

ერთს წუთს ცვალებადელმა არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობა და მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა დამოკიდებულია იმისგან, თუ რამდენათ მტკიცე და ძლიერი იქნება წითელი არმია.

მტრები საბჭოთა სახელმწიფოს უთვალავი ყავს. მთელი კაპიტალისტური ქვეყანა დღეს მგლებივით გვიყურებს. ყოველ ხელსაყრელ წუთში ის მზად არის ყელში გვეტაკოს. და რომ ეს მან ვერ გაბედოს ამისთვის საჭიროა წითელი არმია ძლიერი იყოს, საჭიროა ყოველმა მუშამ და გლეხმა იცოდეს იარაღის ხმარება, გაცნობილი იყოს სამხედრო საქმესთან.

ტერშეკრებებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებიან. ცვალებადელნი იკრიბებიან ტერშეკრებაზე იმიტომ, რომ კარგად შეისწავლონ სამხედრო საქმე, შეიძინონ პოლიტიკური და კულტურული ცოდნაც.

ამიტომაც ჩვენი ცვალებადელი აქედანვე უნდა შეეჩვიოს ენერგიულ და მუყაით მეცადინეობას. აქედანვე ის უნდა შეეცადოს ურყევი ფოლადისებური დისციპლინის განმტკიცებას თავის ნაწილში.

მუდამ უნდა ახსოვდეს რომ კარგი დისციპლინა ნაყოფიერი სწავლების და გამარჯვების საუკეთესო თავდებია.

არც ერთი წუთი, საათი ტყუილა უბრალოდ არ უნდა იქმნას გაცდენილი.

მთელი დრო უნდა მოხმარდეს სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას.

ამ ამოცანის შესრულება—იგივე მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე თავის მოვალეობის მოხდა არის.

1902 წ. ცვალებადელნი ერთსულოვნად მოვიდნენ ტერშეკრებაზე, იმედია ასეთივე ერთსულოვნებით და გაასკეცებული ენერგიით ისინი შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც მათ უდგას წინ წითელ ყაზარმაში.

## ბრძოლა მწვავდება.

ჩინეთის ხალხის მღელვარება დღითი დღე გრძელდება და მწვავდება. ეროვნული—განმათავისუფლებელი მოძრაობა ციებ ცხელებასავით მოედო თითქმის მთელ ჩინეთს. ჩინელი მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, პროფესორი, თვით ვაჭარიც—ყველანი ფეხზე დადგა, ყველა აიტაცა აღშფოთებამ უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ. უკვე ორი კვირაზე მეტია რაც იმპერიალისტებმა მუშების სისხლი დაღვარეს შანხაიში..

მაგრამ ამ ერთი საძაგლობით ისინი არ დაკმაყოფილდნენ. მსგავსი საზიზღრობა მათ ხანკოუშიც ჩაიდინეს.

იმპერიალისტების თავხედობას არ უჩანს საზღვარი. მათ გაამაგრეს თავისი ბინადრობის ადგილი და ყურადღებასაც არ აძლევენ ჩინეთის მასების მოთხოვნილებას.

ჩადენილ ვერაგულ მკვლელობას ისინი სამართლიანად სთვლიან და სრულიად არ ფიქრობენ ბოდიშის მოხდას. ეს გარემოება რასაკვირველი უფრო აღელვებს გაწამებულ ჩინეთის მასებს.

მათი აღშფოთება და სიძულვილი უცხოელ მტაცებლების წინააღმდეგ ერთი-ორად იზრდება და მატულობს.

მთელი ჩინეთი ყალყზეა დამდგარი. ის მზადაა გარეკოს თავის საზღვრებიდან უცხოელი მჩაგვრელები. მაგრამ იცის რომ ეს არ არის ადვილი. იმპერიალისტური მხეცი შეიარაღებულია თავიდან ფეხებამდე. მარტო ჩინეთის ხალხი ვერ გარეკავს ამ მხეცს, ვერ მოიცილებს მის ბასრ კლანჭებს. ამ საქმეში აჯანყებულ ჩინეთს მხარი უნდა დაუჭიროს დასავლეთის მუშათა კლასმა. მართალია ევროპის მუშათა კლასი, თვით ინგლისის პროლეტარიატიც ხმამაღლად აცხადებენ თავის სოლიდარობას მებრძოლ ჩინეთთან, მაგრამ რამდენათ ის რეალური დახმარების გაწევას შესძლებს ამის თქმა ძნელია.

ჯერჯერობით კი ბრძოლა გრძელდება და გამწვავებულ ხასიათს ღებულობს.

ადვილი შესაძლებელია და უფრო მოსალოდნელი არის, რომ იმპერიალისტები სისხლში ჩაახრჩობენ ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, ისე როგორც 1905 წელში რუსეთის თვით მპყრობელობამ, ჩაახრჩო პირველი რევოლიუცია, მაგრამ ნუ დაავიწყდება ქვეყნის მყვლეფელებს, რომ 1905 წელს მუდამ ოქტომბერი მოსდევს. შეიძლება ჩინეთის ხალხი დამარცხდეს ეხლა, მაგრამ მისი ოქტომბერი უფრო ადრე მოვა, ვიდრე ეს მოხდა რუსეთში. ჩინეთის ხალხი აღსდგა მტაცებელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ის მანამ არ მოისვენებს სანამ არ დაამსხვრევს უცხოელი კაპიტალის ბატონობის ბორკილებს!

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

# ბრძოლა ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის

## ჩყან-ძო-ლინის რაზმი შევიდა შანხაიში.

ჯარებს გააცვნეს შანხაის ამბები.

ჩჟან-ძო-ლინისა და ჩჟან-სუ-ლიანის მეთაურების ქვეშ მყოფი 2.000-ნი რაზმი მივიდა შანხაიში და დაბანაკდა ქალაქის ჩინეთის ნაწილში. შანხაის სტუდენტობამ ითხოვა ნებართვა, რომ პირადათ გაეცნოთ ჯარები შანხაის ამბებს. მუკდენის ჯართა უფროსმა განაცხადა, რომ თუმცაღა არმიაში დაუშვებელია მსგავსი გამოსვლები, მაგრამ შანხაის ამბების გამონაკლის მნიშვნელობის გამო, ის ნებას აძლევს სტუდენტებს გააცნოს საქმის ვითარება ჯარს. სტუდენტებმა აუხსნეს ჯარებს მდგომარეობა, თუ როგორ მოხდა შანხაიში მუშათა და სტუდენტების დახვრეტა.

## საბჭოთა კავშირის მშრომელები ჩინეთის მებრძოლებთან არიან.

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში იმართება მშრომელთა, და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიტინგები და გროვდება შემოწირულებები ჩინეთის მებრძოლთა სასარგებლოდ. ზოგიერთ სამრეწველოებში მუშები განსაზღვრულ დროს მუშაობდენ შანხაის მუშათა სასარგებლოდ.

## ინგლისის ყურადღების დამსახურებისთვის.

„ადამიანის უფლებათა კომიტეტის“ ბელადის დახვრეტა.

გუბერნატორ სია-სია-ონანის განკარგულებით დახვრეტილ იქნა „ადამიანის უფლებათა კომიტეტის“ ბელადი დოქტორი სია-ო-ინგი. მას აბრალებდენ ბოლშევიკურ და გომინდანის პარტიის პროპაგანდას. სია-ო-ინგი არ ყოფილა არც კომუნისტი, არც გომინდანელი; ის უწოდებდა თავს ანარქისტს

სია-სია-ონანის განკარგულებამ, რომელიც მოქმედებს ინგლისის სასარგებლოდ ჩინეთის წინააღმდეგ, დიდი აღშფოთება გამოიწვია ხანკოუს სტუდენტთა და სავაჭრო წრეებში. ჩინეთის პრესა ახასიათებს სია-სია-ონანის მოქმედებას, როგორც უ-პეი-ფუს პოლიტიკურ მანევრს, რომლითაც სურს დაიმსახუროს ინგლისის ყურადღება და დახმარება.

## ლენინური ახკომკავშირი დაეხმარება ჩინეთის ახალგაზრდობას.

ლენინურ ახკომკავშირის სრულიად საკავშირო კონფერენცია მოუწოდებს ჩინეთის ახალგაზრდობას უცხოელ იმპერიალისტებისა და ჩინელ მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ გამარჯვებამდი და თავის მხრივ აღუთქვამს ყოველ მხრივ დახმარებას.

## კომინტერნის აღმასკომისა და პროფინტერნის ბიუროს მიმართვა მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი.

კომინტერნის აღმასკომმა და პროფინტერნის ბიურომ მიმართეს მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალებს დეპეშით, რომლითაც მოუწოდებენ გაუწიონ მორალური და მატერიალური დახმარება თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთის ხალხს: მოაწყონ მიტინგები და შეაგროვონ შემოწირულებები ჩინეთის გაფიცულ მუშათა და დახოცილთა ოჯახების სასარგებლოდ.

მიმართვა თავდება შემდეგი სიტყვებით: „ვინაიდან საქმე დაგვიანებას არ ითმენს, გთხოვთ საჩქაროდ გვიპასუხოდ დეპეშით.“

## სენატორი ბორა ჩინეთის შესახებ.



სენატორ ბორა.

სენატორ ბორა მომხრეა საბჭოთა კავშირის ამერიკის მიერ ცნობის.

სენატორ ბორას მიმართა შეკითხვით ჩინეთში მყოფ ამერიკის მოქალაქეებმა, თუ რა შეხედულებისაა ის ჩინეთის ამბებზე. ბორამ უპასუხა: „მე მომხრე ვარ ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმების, ჩინეთის ტერიტორიის მთლიანობის და დიდი ერის ეროვნულ უფლებების დაცვის“.

## ინგლისის კომპარტიის მუშაობა.

ინგლისის კომპარტიამ გაუგზავნა მუშათა პარტიის აღმასკომს წერილი, რომელშიაც მოითხოვს მუშათა ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევას, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას ბრძოლის მეთოდები ინგლისის ჩარევის წინააღმდეგ ჩინეთის საქმეებში.

შემდეგ კომპარტიამ მიმართა პროფკავშირებს შეკითხვით,—თანახმა არიან თუ არა ისინი გააგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები კომიტეტში—„ხელი შორს ჩინეთისაგან“.

## ცანკოვის ტერორის საშინელებანი.

### ჯალათების წამებას თვითმკვლელობამდი მიჰყავს ხალხი.

### ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებში სწარმოებს მასიური დაპატიმრება.

ცანკოვის ჯალათების წამებას თვითმკვლელობამდი მიჰყავს ბევრი.

ზაგორის ციხეში ჩანგლით თავი მოიკლა სოფლქო კომიტეტის ყოფილმა წევრმა გენჩევმა, რომელიც უნდა გაეყვანათ საწამებლად.

იმავე ციხეში სამართებლით ყელი გამოიჭრა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ილიევმა.

ქ. ბურგასში „ოხრანკის“ ბინიდან, მე-4 სართულიდან გადმოვარდა კომუნისტი დიმიტრი პავლოვი. განსვენებული 3 თვის განმავლობაში ჯოჯოხეთურ წამებაში ჰყავდათ.

ასეთივე შემთხვევა მოხდა ფილიპოპოლის ციხეში, სადაც მესამე სართულიდან გადმოვარდა ფედრინანდ მიხაილოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა არალეგალურ მუშაობაში.

სწარმოებს მასიური დაპატიმრება. სეიმენის მიდამოებში დააპატიმრეს 300 მუშა და გლეხი, ხასკოვოში—35 კომუნისტი.

# საბჭოთა კავშირში

## მზრუნველობა მეაბრეშუმეობაზე.

### აბრეშუმის მოსავალი საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭომ წინადადება შეიტანა სახელმწიფო საგეგმო განყოფილებაში გადასდოს აბრეშუმის დამზადებელ კამპანიისათვის 5.400.000 მანეთი აბრეშუმის მოსავლის შესყიდვის დროს.



ამხ. შმიდტი.
მოსკოვ—ჩინეთის საჰაერო ექსპედიციის უფროსი.

1925 წელში მოსალოდნელია შემდეგი მოსავალი: შუა აზიაში—200.000 ფუთი ნედლი და 67.000 გამხმარი პარკი; აზერბაიჯანში—100.000 ფუთი ნედლი და 33.000—გამხმარი; საქართველოში—14.000 ფუთი ნედლი და 45.000 გამხმარი პარკი.

## ნანსენი სომხეთში.

სომხეთში ჩავიდა ერთა ლიგის საერთაშორისო შრომის ბიუროს მიერ მივლენილი დელეგაცია ნანსენის მეთაურობით. დელეგაციას მიეგება სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებმაც დელეგაციისადმი მიმართულ სიტყვებში დაახასიათეს ნანსენის მოღვაწეობა, განსაკუთრებით რუსეთში შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## 3.000 ვერსი ქვეითად.

17 ივნისს ფეოდოსიიდან ფოთში მოვიდა მოგზაური ფიზკულტურის საზოგადოების წევრი ნიკოლოზ ვოლკოვი. ტფილისში ვოლკოვი ჩამოვა დაახლოებით ივლისის პირველ რიცხვებში.

მოგზაურის მიზანია გაიაროს 3.000 ვერსი 1-ლ მაისიდან 1-ლ სექტემბრამდი, რათა გამოარკვიოს, თუ რა გავლენას მოახდენს ნორმალურ ორგანიზმზე ასეთი მოგზაურობა.

## უცხოელი ამხანაგები მოსკოვში.

მოსკოვში ჩამოსულ ბელგიისა და საფრანგეთის მუშებმა დაათვალიერეს პროფკავშირთა ცეკა და მუზეუმები, სადაც გაეცნენ ჩვენი პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობას. საღამოს უცხოელ მუშებმა დაათვალიერეს მოსკოვის რამოდენიმე მუშათა კლუბი.

## ამხ. ბუხარინის მოხსენება.

### საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

მოხსენებაში საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ბუხარინმა განაცხადა:

„როცა ჩვენ ვამბობთ: „კაპიტალიზმის სტაბილიზაცია“,— ჩვენ ამით სრულებით არ ვგულისხმობთ იმას, თითქოს კაპიტალიზმი შესულიყოს თავის სრულ აყვავების პერიოდში, რომ თითქოს განკურნებულიყოს ომის წყლულებისაგან, რომ კაპიტალიზმის კრიზისი მომსპარიყოს. მაროკო და ჩინეთი ამის წინააღმდეგს გვიჩვენებენ“.

შეეხო რა იმპერიალისტების ერთიან ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბუხარინმა განაცხადა: „თუ რომ კაპიტალისტურ ქვეყნებმა დღემდის ვერ მოაწყვეს ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი, ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოების მთელ რიგს ბევრი საკუთარი საზრუნავი აწუხებს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენზედაა დამოკიდებული, რათა გამოვააშკარავოდ ჩვენი მტრების მავნე, ცილისწამებისა და თავხედური კამპანია. ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა და ჩვენ უნდა ვაწარმოოდ მშვიდობიანი პოლიტიკა. ჩვენ ნებას არ მივცემთ შემოღებულ იქნას ჩვენში ჩინური წესები და უცხოელთა კვარტალები. მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან, რათა მშვიდობიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან ერთად ვიზრუნოთ, რათა ჩვენ არავინ შეგვურაცხყოს, რათა ჩვენ გვყავდეს საზღვაო და ხმელეთის შეიარაღებული ძალები, საკმარისად ძლიერი მუშტი, რომლის ამუშავება შეგვეძლებოდეს იმ შემთხვევაში, თუ რომ ვინმე გაბედავს და ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრებს“.

### საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობას ბუხარინმა ხაზი გაუსვა ლოზუნგის—„პირი სოფლისაკენ“-მნიშვნელობას.

მომხსენებელმა დაწვრილებით გაარჩია საქონლის ტრიალისა და სოფლის კოოპერაციის როლის საკითხები. კოოპერაციის საკითხი-წარმოადგენს ამ ჟამად გადამჭრელ საკითხს. შემდეგ ბუხარინმა გაარჩია საკითხი, არის თუ არა ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ გადახვევა პროლეტარული პოზიციიდან და მიდის დასკვნამდი, რომ რასაკვირველია არ არის. პროლეტარიატმა, რომელიც სათავეში უდგას ძალაუფლებას, ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობის დაახლოებას საგლეხო მეურნეობასთან, ვინაიდან უკანასკნელის განვითარებაზე დამოკიდებულია მრეწველობის განვითარება.

ბუხარინმა აღნიშნა ის ყალბი შეხედულება, რომ თითქოს ჩვენი პოლიტიკა სოფლად ნიშნავდეს ქალაქისკენ ზურგით მობრუნების პოლიტიკას. ასეთი შეხედულება მეტისმეტად ყალბია.

ეხლა საკითხი ისაა, რომ მუშათა კლასმა ახალი მეთოდებით განამტკიცოს თავისი დიქტატურა, ახალი გზით განამტკიცოს თავისი ხელისუფლება და მოაგვაროს თავისი დაახლოების საკითხი საგლეხო მეურნეობასთან.

ჩვენი პოლიტიკა სოფლად არამც თუ არ გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა შევაქციოდ ზურგი ქალაქს, არამედ პირიქით, ჩვენ უფრო ახლოს უნდა მივიდეთ მასთან.

თუ ჩვენ ფართე ასპარეზს ვაძლევთ სოფლის საბჭოებსა და სოფლის კოოპერაციას, თუ ჩვენ დემოკრატიზაციისაკენ მივდივართ სოფლად, სამაგიეროდ პირველ რიგში ეს უნდა ავინაზღაუროდ ჩვენ მუშაობის გაძლიერებით პროლეტარულ ორგანიზაციებში და პროფკავშირებში. თუ ჩვენ სოფლის საბჭოს არჩევნებში გაგვყავს დემოკრატია, იმ შემთხვევაში ათჯერ გაძლიერებით უნდა გავიყვანოთ ის პროფკავშირთა ორგანოების არჩევნებზე.

დასასრულ ამხ. ბუხარინმა ილაპარაკა კომკავშირის ამოცანების შესახებ.

## სამხედრო საქმე განაკვეთში.

### 2. ცალკეული მომზადება ღამით მოქმედებაში.

საჭიროა მეომრები პირადად დარწმუნდენ, თუ რა განსხვავებაა ღამით და დღისით მოქმედების შორის, რა გავლენას ახდენს ღამე ადამიანისა და საერთოდ ცოცხალი არსების მხედველობაზე, სმენაზე და ნერვებზე. აი ამ მიზნისთვის ტარდება წინასწარი საჩვენებელი მეცადინეობა.

ამიტომ ერთი ან ორი ნაწილი (ვსთქვათ ერთი ან ორი ოცეული), წინასწარ დარიგებით (მომზადებით) აჩვენებს მოქმედების სხვა და სხვა ხერხს. ყველა დანარჩენი მეომრები თვალყურს ადევნებენ და სწავლობენ. მეომრები იქვე, თვალსაჩინოდ რწმუნდებიან, თუ როგორი ხერხი დასაშვებია ღამით მოქმედების დროს და რომელი დაუშვებელი.

დაახლოებით 150 მეტრის მანძილზე მოსწავლე ჯგუფიდან უნდა ჩაიაროს ოცეულმა. ადგილი გაშლილია. ღამის სრული სიჩუმე. ბუნებრივია, მოთვალთვალენი დაჭიმავენ მხედველობასა და სმენას, მაგრამ სიბნელეში არაფერი სჩანს.

უცებ სიჩუმეში გაისმება ოცეულის ზომიერი ნაბიჯი.

ცხადია ოცეულმა გაამჟღავნა თავი თავისი მწყობრი ნაბიჯით.

იმავე პირობებში, სრულ სიჩუმეში და იმავე გზით გაივლის მეორე ოცეული, ან უკან დაბრუნებული პირველი მაგრამ მოდის არა დაწყობილი ნაბიჯით.

და აი, ვინც გაიგონა პირველი ოცეულის მწყობრი ნაბიჯი, არას დროს არ დაივიწყებს, და ეცოდინება, რომ ღამით ასე სიარული არ შეიძლება.

ასეთივე მაგალითები, შეიძლება განმეორებულ იქნას ოცეულზე რომელსაც ვერ აქვს კარგად მოსადაგებული, საჭურველი, „კრუჟკა“ წკარუნობს ქვაბზე ან ბარზე მოხვედრის გამო, მეომრები ლაპარაკობენ. და პირიქით, ოცეული იცავს სრულ სიწყნარეს და აქვს კარგად მოსადაგებელი საჭურველი.

ამ რიგად მეორდება სხვა და სხვა ხერხი. აქ ორთავლაც მოძრაობს ხან ნაბიჯით, ხან ხოხვით; აქ არის ცხენოსანი გაჭენებულ ცხენზე. შემდეგ სწარმოებს სანიმუშო სროლა მაგალითად 200, 600, 1.000 და 2.000 ნაბიჯზე. აჩვენებენ „თამბაქოს მწეველ გუშაგს“. 400—600 ნაბიჯზე მოთვალთვალეთაგან (მოსწავლე ნაწილიდან) გაიგზავნება წითელ-არმიელი, რომელიც მოსწევს თამბაქოს.

შეიძლება კიდევ ნაჩვენები იქნას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნაწილი, როცა ის მოხვდება პროჟექტორისა ან შუშხუნების განათების არეში. უფრო თვალსაჩინოებისათვის აჩვენებენ აგრეთვე ორ ხერხს: სინათლის არეში მოხვდენილი ერთი ოცეული ან იფანტება ან უწესრიგოდ წვება მიწაზე, მეომრები ინძრევიან, ზოგი დარბის და ადგილი ვერ უშოვია; მეორე ოცეული პროჟექტორის სინათლეზე მაშინვე წვება, როგორც ერთი კაცი და არ იძვრის, სანამ სინათლე არ გაჰქრება. ეხლა მეთვალყურეთათვის ნათელი გახდება, თუ როგორ უნდა მოიქცე ბრძოლის დროს ასეთ შემთხვევებში.

ვ.

## ტალა ღამით.

ტალას თავისებურება ღამით მდგომარეობს იმაში, რომ დამცველი ნაწილები მეტად ფხიზლად და ფრთხილად უნდა იყონ. პირველ ყოვლისა ეს ეხება გუშაგსა და ქვე-გუშაგს; დაუდევრობისა და უყურადღებობის გამო, ისინი ადვილად ჩაუვარდება ხელში მტერს.

მეორე თავისებურება ისაა, რომ დამცველ ნაწილებს ურთიერთზე დასახმარებლად ძალიან უძნელდებათ მანევრები.

საგუშაგოების სიფხიზლე გაძლიერებულ უნდა იქნას გათენებისას, ვინაიდან ეს საუკეთესო ხელსაყრელი დროა შეტევაზე გადასვლისათვის და ჩვეულებრივად ბრძოლაც გათენებისას იწყება. უნდა გვახსოვდეს, რომ მტრის დიდ ძალებს შეუძლიათ მოძრაობა მხოლოდ გზებზე. გზების გარეშე თუ იმოძრავებენ მხოლოდ მცირე ნაწილები. აქედან ცხადია, რომ ყოველი მტრის მხრიდან მომავალი გზა აუცილებლად დაკავებულ უნდა იქნას მოდარაჯე რაზმის მიერ.

საგუშაგოებს შორის და აგრეთვე საგუშაგოებსა და ბერაებს შორის კავშირის დაჭერა ღამით მეტად ძნელია, კავშირისათვის შემოღებულ უნდა იქნას რამოდენიმე პირობითი ხმოვანი „სიგნალი“ (მაგ. ღამის ფრინველებზე ან ცხოველებზე მიბაძვა). ნიშნების (სიგნალების) რაოდენობა განსაზღვრულია: არა უმეტეს 2-3-ს; მაგალითად: „ყურადღება“, „მომზადეთ“ და სხვა. დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია გაწვრთნილ ძაღლს, რომელსაც კავშირის გარდა შეუძლია შათირობაც გასწიოს ღამით. ძაღლი მიგიყვანს იქ, სადაც საჭიროა. ძაღლი თუ გყავს, ღამით არ დაიბნევი საგუშაგოებში და უზრუნველყოფილი იქნები ტყვედ ჩავარდნისაგან.

წარსულის გამოცდილებიდან შეიძლება მოვიყვანოთ რამოდენიმე პრაქტიკული ხერხი ტალას სამსახურიდან.

პირველ ყოვლისა, რომ თავის დროზე აღმოაჩინო სიბნელეში მტერი, ამისათვის სათვალთვალო ხაზის წინ, ბუჩქებში გაბმულ თოკზე (მავთულზე) უნდა ჩამოჰკიდო ან დააწყო ჟღარუნა საგნები: კონსერვის ან ტყვიების კოლოფები, ვენჭებით. სავსე ბოთლები, შუშები და სხვა. საგუშაოებისაკენ მომავალი მტერი უცაბედათ წამოჰკრავს ფეხს და გამოამჟღავნებს თავს.

ღამით ქვევიდან ზევით ადვილი გასარჩევია საგნები; ამიტომ საგუშაგოები მოწყობილ უნდა იქნეს მთის შიგნით კალთაზე. მთვარიან ღამეს სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ რომ მთვარე უკანიდან ანათებს; მაგრამ რომ შენი თავი დაჰფარო უნდა მოთავსდე ჩრდილში.

წინააღმდეგობის ხაზზე (ბერას ხაზი) წინასწარ მოიწყობა კოცონისთვის საჭირო ნაფოტები, ჩალა და სხვა. მტრის შემოტევის დროს საგუშაგოები გადანაცვლებულ იქნებიან წინასწარ დასახულ გზით, რათა არ გამოჩნდნენ ცეცხლის შუქზე. ბერაებზე აანთებენ კოცონს შემოტევაზე გადმოსულ მტრის გასაშუქებლად. მტრის მოახლოების დროს ბერაები ხსნიან ცეცხლს და სტყორცნიან გრანატებს, ხოლო შემდეგ უხმაუროდ გადადიან ხიშტებით.

ვ.

## მაროკოს ომი გრძელდება.

ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში მაროკოს უზენაეს კომისარმა მარშალ ლისტეიმ გაამაგრა მდინარე უერგის სათავეები, რიფების საზღვრებთან ახლოს. ლისტეიმ აქ პირველად დააარსა სამხედრო პოსტები. სანამ ესპანელები რიფში იმყოფებოდენ, საფრანგეთის სარდლობა ამ პუნქტებში არავითარ სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათის მუშაობას არ იწყებდა. პირიქით, ეს სარდლობა არ უშლიდა ხელს სურსათ-სანოვაგის მიწოდებას აბდ-ელ-ქერიმის ჯარებზე.

როგორც კი გამოირკვა, რომ რიფებმა სერიოზულად გაიმარჯვეს ესპანელებზე, საფრანგეთის სარდლობამ უცებ შესცვალა თავისი დამოკიდებულება აბდ-ელ-ქერიმთან. მას, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ ესპანელებთან ბრძოლით დასუსტებული რევოლიუციონური რიფები ვერ გაუმკლავდებოდენ საფრანგეთის „ოხრანკას.“ მაგრამ აბდ-ელ-ქერიმმა არამც თუ შესძლო საფრანგეთის ავანგარდის წინსვლის შეჩერება, არამედ უერჩის ტომები—„ბენ-ზერუველი“ და სხვებიც კი ააჯანყა ფრანგების წინააღმდეგ და ამით გაუძნელა წინსვლა საფრანგეთის რაზმებს. ფრანგებმა დღემდისაც კი ვერ გადალახეს რიფის საზღვრები.

ამის მიზეზია პირველ ყოვლისა მთიანი ადგილები, ხელოვნური სიმაგრეები უერჩისა და რიფების დამხმარე რაზმები; მეორედ ის, რომ საფრანგეთს ძალიან არ უნდა მისცეს საბაბი იტალიას და მოითხოვოს მას 1912 და 1906 წლებში დადებული ალჟირის ხელშეკრულების გადასინჯვა.

საქმე ისაა, რომ იტალიას, რომელმაც ხმელეთა-შუა ზღვის სახელმწიფოებს შორის მიიღო მხოლოდ მწირი და უდაბნო ლიბია ჩრდილოეთ აფრიკაში, ძალიან უნდა მონაწილეობა მიიღოს ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიზაციაში, რომლის დიდი ნაწილი ერგო საფრანგეთს. არც საფრანგეთსა და არც ინგლისს არ სურს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ჩრდილოეთ აფრიკის ხელახლად გაყოფის შესახებ.

აბდ-ელ-ქერიმის მდგომარეობა სერიოზულია. ჩრდილოეთიდან მას შემორტყმული ყავს ესპანელები. ცნობებია, რომ პრიმო-დე-რივერა კვლავ აპირებს შეტევას შეშუანზე.

თუ რომ ეს ასე მოხდა, აბდ-ელ-ქერიმს გაუძნელდება ორ ფრონტზე ბრძოლა.

ესპანეთის ბლოკადა ძალიან გაუჭირვებს საქმეს რიფებს.

საფრანგეთის მოდარაჯე გემებმა უკანასკნელ დღეებში გააძლიერეს საქმიანობა. ეს ხელს შეუშლის ფარულად იარაღების მიღებას და აბდ-ელ-ქერიმის ჯარებს ამ მხრივ საქმე გაუძნელდებათ.

საჭიროა განვითარებულ იქნას საჩქაროდ ანტი-მილიტარისტული აგიტაცია რომანთა ქვეყნებსა და დიდ-ბრიტანეთში, ამხედრებულ იქნას მთელი მუშათა კლასი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ ჩააქრონ ისეთი რევოლიუციონური კერა, როგორიცაა აფრიკაში რიფები.

კიტაიგოროდსკი.

# ცვალებადელნი ერთსულოვნად მოდიან თავის ნაწილებში.

## ცვალებადელები მოვიდნენ!

**2-რე ტერ-არტლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში ახალწვეული ცვალებადელები უკლებლივ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს. წითელი ყაზარმა და მისი ყოფა ცხოვრება დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს ამხანაგებზე. ყოველ წუთს დაინახავთ მათ, რომ გულმოდგინეთ ესაუბრებიან ძველ არმიელებს და ეკითხებიან მათ მათი ცხოვრების, მეთაურების მოპყრობაზე, დისციპლინაზე და სხვათა შესახებ. განურჩევლად პარტიული შემადგენლობისა კმაყოფილებას გამოსთქვამენ თავისი ხვედრით. ბევრს ძალზე ახარებს ის გარემოება, რომ არტლეგიონში მოხვდნენ. დიდი ქვემეხების ყურება რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს მათზე. ისინი მზათ იყვნენ იმ წამსვე შესდგომოდნენ იარაღების გაცნობას.

არა ნაკლები სიხარულით ამხანაგები შეხვდნენ, გაერთიანებულ კრებას. პარტიული ამხანაგების საკმაო რიცხვის შემატების გამო დაარსებული იქნა ლეგიონში მეორე კომუჯრედი.

კრებაზე დიდი ინტერესი და სიხალისე გამოიჩინეს ცვალებადელებმა წამოჭრილ საკითხებში შეკითხვების მიცემით.

უსურვებთ ამხანაგებს კარგად შეეთვისებიოთ წითელი ჯარის რიგებში მოწოდებული ცოდნა და ღირსეული დამცველები გამოსულიყვნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების. გაუმარჯოს მათ მოსვლას და საქმიანობას ჩვენს რიგებში.

სამხკორი კ. აბზიანიძე.

## მოდიან უკლებლივ და აღფრთოვანებით!

(მე-6-ე ტერლეგიონი.)

15 ივნისს დილიდანვე დიდი მზადებაა ყაზარმაში. უფპოლიტშემადგენლობა თავის ადგილზე სდგას. თითეული მათგანი თავის ასეულებს დასტრიალებდნენ თავზე, და თითეულს სურდა, სხვისთვის ეჯობნა ცვალებადელების შეხვედრაში.

დილის შვიდი საათიდან დაიწყეს დენა ახალწვეულებმა. ძირედ შემადგენლობის არმიელები ერთმანეთს ეცილებოდნენ ახლად მოსულებთან საუბარში. ისინი მოუთხრობდნენ თავისი ცხოვრების შესახებ, ხოლო ახალწვეულები თავის მხრივ უამბობდნენ მათ სოფლის ცხოვრებაზე და იქაურ ხელისუფლეთა წარმოებულ მუშაობაზე.

ყაზარმა სათანადოთ მომზადებული დახვდათ ცვალებადელებს. ასეულები წინასწარ იყო მოწყობილი პლაკატებით და ლოზუნგებით. ლეგიონმა მოახდინა ასეულების გადაჯგუფება ერთი შენობიდან მეორეში და ეს გარემოება იყო უმთავრესი, რამაც ხელი შეუშალა კლუბის გამგეობას ლენინის კუთხის სათანადოთ მოწყობაში.

სამაგიეროთ სამკითხველომ და ბიბლიოთეკამ გამოასწორა ეს დანაკლისი. ყაზარმის გაცნობის შემდეგ ცვალებადელები აქეთკენ მიეშურებოდნენ და გულდასმით ათვალიერებდნენ სამხედრო ხასიათის ლიტერატურას. წითელ არმიაზე მათ სურთ ყველაფრის გაგება.

ლენკუთხეებს ზოგიერთ ათასეულებში ძლიერ ცოტა ადგილი აქვთ დათმობილი. განსაკუთრებით ითქმის ეს პირველი ათასეულის შესახებ და საჭიროა უფროსმა მიიღოს შესაფერი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში ცვალებადელებთან მუშაობა გასჭირდება.

ამხანაგები დიდ აქტიობას იჩენენ და გასაქანი უნდა მიეცეთ.

**დუშეთელებიც მოვიდნენ.**

ერთი დღის ყაზარმაში ყოფნამ ძლიერ გაათამამა ახალწვეულები. მეორე დღეს ლეგიონის ეზოში გამართეს ფეხბურთის თამაში, რომლის დროს დიდ სიმკვირცხლეს იჩენდნენ. არც სიმღერებს გვაკლებენ. განწყობილება საუცხოვოა.

დღეს ველით დუშეთის ასეულს. ყველას გვაინტერესებს მათი ნახვა. ცოტა კიდევ და... უეცრივ მოგვესმა მხიარული სიმღერა. დუშეთის მესამე ასეული გვიახლოვდებოდა. ასეულის თავი და სამხკომი მედიდურად შემოუძღვნენ ნაწილს ლეგ. ეზოში. გაიმართა მისალმებანი, ერთმანეთის გაცნობა. დუშეთელებსაც ეტყობათ რომ კმაყოფილი არიან ყაზარმაშ გაწვევით. ახალი კადრის შემომატებამ კიდევ უფრო გაამხიარულა ყაზარმა.

ტანსაცმელი უკვე დაურიგდათ ამხანაგებს.

**17 ივნისი.**

დღეს ლეგიონი მოელის ლიუქსემბურგის მეექვსე ასეულს. აქაური ახალწვეულების მოსვლა ძლიერ გვაინტერესებს. მეორე ათასეულის შემადგენლობა გაფაციცებით ემზადება ამხანაგების მისაღებათ. გაამშვენიერეს ლენინის კუთხე. კედლებს ამშვენებს უმთავრესად თათრულად შედგენილი ლოზუნგები, რადგან მეექვსე ასეული უმთავრესად მუსლიმანებისაგან შესდგება.

დილის 10 საათზე 2-რე ათასეული გამოვიდა მწყობრად თავისი ასეულის შესახვედრად.

სმენა!.. სალამი მარჯვნივ — უცებ მოისმა ათასეულის თავის ხმა. მეექვსე ასეული გამოჩნდა... მოგვიახლოვდნენ... ასტყდა დაუსრულებელი ვაშას ძახილი. ასეული ხალისიანათ შემოვიდა ლეგიონში.

გამოწვევის ამ პერიოდმა აშკარად დაგვანახვა, რომ მშრომელ გლეხობას კარგად აქვს შეგნებული, თუ სად და რისთვის გზავნის თავის შვილებს და ვისი ინტერესების დასაცავად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსლიმანების დამოკიდებულება ტერ-შეკრებისადმი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ყოფილა შესაძლებელი მათი ასეთი გარდაქმნა და ეს გასაკვირიც არაა, რადგან მუშურ-გლეხური ხელისუფლება ათანასწორებს ყველას უფლებრივად.

**ახალწვეულების შემადგენლობა.**

ქართველები, რუსები, სომხები, გერმანელები, ოსმალები, ბერძნები და სხვა. ნამდვილი ინტერნაციონალურია ამ ჟამად მეექვსე ტერ-ლეგიონი.

მათ შორის არიან დაზგიდან მოსული მუშები, სოფლის გლეხები და საბჭოთა მოსამსახურეები. ყველა ერთი განწყობილებით, ერთი სურვილით და მონდომებით არიან გამსჭვალული: შეისწავლონ სამხედრო საქმე, მიიღონ პოლიტიკური და სხვა ცოდნა, ხელი შეუწყონ სამხედრო დისციპლინის განმტკიცებას, წითელი არმიის ძლევამოსილების ზრდას და საჭიროების დროს იბრძოლონ მსოფლიო მყვლეფელთა წინააღმდეგ'

ასეთ პასუხს იძლევიან ყველა დაწყებული ბერძნიდან გათავებული ქართველით.

**პარტიული ცვალებადელები.**

ლეგიონში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ასეულების მაშტაბით კომუჯრედები.

ჯერ არ მომხდარა პარტიულ ცვალებადელთა აღრიცხვა, მაგრამ წინდაწინვე ეტყობა, რომ პარტ-ორგანიზაციებში უმეტესობას პარტკანდიდატები მოგვცემენ.

საჭიროა ცვალებადელთა სურვილს ცოდნის შეძენისადმი მიეცეს ფართო გზა.

სამხკორი დავლოძი.

## ყიჟინით გაემართნენ 4-ხე ტერ-ლეგიონისაკენ.

14 ივნისს კავთისხევის რაიონებიდან დაიწყეს მოსვლა წითელ ქალაქში ცვალებადელებმა, რომლებსაც უნდა მოესმინად წინასწარი მოხსენება ტერშეკრების შესახებ და შემდეგ აქედან გაყვებოდნენ ლეგიონიდან მოსულ სამხედრო წარმომადგენელს მთავარ შესაკრებ პუნქტზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დღეს დღესასწაული ჰქონდათ რაიონებში, 12 საათისთვის ყველა ცვალებადელი გამოცხადდა დანიშნულ ადგილას.

კრება გახსნა თემალმასკომის თავმჯდომარე ამხ. კალანდარიშვილმა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ახალწვეულებს.

შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხედრო წარმომადგენელი. ის შეეხო დღევანდელ ტერშეკრების მნიშვნელობას და მიზანს, ჯარის როგორც ახალ აღმშენებლობაზე გადასვლას.

მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ცვალებადელებსა და მათ მშობლებზე, რომლებიც თან მოყოლოდნენ მათ.

მოხსენების გარშემო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია მათი ერთგულება მუშური მთავრობისადმი და ჯარის მშენებლობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის ხელის შეწყობა.

—ვფიცავთ მთელი ენერგიით ხელი შეუწყოთ მთავრობის ნაბიჯებს და გავაძლიეროთ წითელი ჯარის რიგებით—ასე თავდებოდა რეზოლიუცია.

კრება დამთავრდა დიდი ენტუზიაზმით. ცვალებადელები დაეწყვნენ და ამხ. ხაინდრავას მეთაურობით სიმღერით გაემგზავრნენ მთავარ შესაკრებ პუნქტზე (გორში); მათ ვაშას ძახილით მიაცილებდა ადგილობრივი მცხოვრებლები და მათი ნათესავი, ნაცნობები და მშრომელები.

ტ. თათანოვი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

უკვე ერთი კვირაა, რაც შეიცვალა ამინდი, გამუდმებით წვიმს, მზე დაგვენახება მხოლოდ რამდენიმე წუთით და ისევ მალავს თავის სახეს.

გარშემო მოწყენილობაა, რაც გადაედო კურსანტებსაც.

აღარ ისმის საღამოობით სიმღერა, ჩონგური და სალამური; აღარ იმართება ფიჭვის ქვეშ ცეკვა-თამაში.

ძალა-უნებურად გვიხდება ჯდომა ბანაკში და ლოდინი მზიანი დღეების.

მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურათ. დილაობით გვაქვს სამხედრო მეცადინეობა, შემდეგ სადილობამდის ვმეცადინობთ სხვა და სხვა საგნებში.

ერთი გარემოება გვაღონებს ძალიან: არა გვაქვს მაგიდები და სკამები. თუ დასაწერია რამე, ან უნდა ვწეროთ იატაკზე, ან და უნდა დავსწეროთ კედლის, ან ამხანაგის ზურგის საშვალებით, რაც ძალიან უხერხულია და რაც არ მოგვცემს დადებით შედეგებს.

საჭიროა, რომ ჩვენმა მნემ, რომელიც ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს ჩვენთვის, მოგვაქციოს ყურადღება და გვიხსნას გაჭირვებისაგან.

**საბიბლიოთეკო საქმე შეფერხებულია.**

აქ უნდა შევეხოთ ჩვენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

იანვარს აქეთ არ მიგვიღია ჩვენ არავითარი ლიტერატურა.

ამას ჩვენ ბიბგამგებ მიაქცია ყურადღება და აღძრა შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, მაგრამ ჯერ შედეგი არა სჩანს.

ჩვენი ბიბლიოთეკა მოითხოვს დიდ მუშაობას: წიგნები არ არის დამუშავებული, გასაკეთებელია დიდი ტეხნიკური სამუშაო.

ეს მოითხოვს მომუშავეს. არის მხოლოდ ერთი ბიბგამგე, რომელმაც უნდა აწარმოოს როგორც იდეური, ისე ტეხნიკური მუშაობა.

კარგი იქნება, რომ მას მიეცემოდეს ერთი თანაშემწე იმ დრომდის, სანამ მუშაობა ჩამოყალიბდებოდეს.

ე. ხუციშვილი.

## ბანაკში.

**მეთაურთა სამხედრო სკოლა.**

დღეს კურსანტები ჩვეულებრივ მოედვნენ ტყესა და მინდვრებს!

ვარჯიშობენ... სწავლობენ... საუბრობენ... ბანაკის შარაგზაზე მოძრაობა არა სწყდება...

სიმღერები ერთი-მეორეს სცვლიან: თათრული, რუსული, სომხური.

თათრული სიმღერა—ნამეტნავად ერთხმოვანი და სევდიანია.

რუსული-რაღაც უფრო მხედრული და ლამაზი...

სომხური სიმღერები, ზოგიერთის გამოკლებით—თათრულს წააგვნენ...

—

ნაშუადღევის პირველი საათიდან ვარჯიშობები სწყდება და ყველანი თავ-თავიანთ კარვებისაკენ გაემართნენ სიმღერებით...

ქართული „კრიმანჭული“ სხვებსაც ძლიერ მოსწონთ...

სადილობა იწყება.

ღრუბლები ცაში სწრაფად დაჰქრიან... ქარმა ფრთები მოიმაგრა და აჯგუფებს მათ.

— ღმერთო, შენს მადლს!..

ამბობს მოხუცებული გლეხი, რომელსაც ბოსტნის ხელოვნურად მორწყვა მოჰბეზრებია...

ჰაერი დამძიმდა... ცაში ღრუბლების თალი შაიკრა და წვიმაც წამოვიდა.

—

ყველანი გარბიან თავშესაფარად... კარვებში წვიმა ჩავიდა!

სკოლის მრეცხავი ქალის ბავშვი ამბობს:

—ჩვენ წყლიდან ბაყაყი ამოვიყვანეთ, მოვკალით და წვიმაც იმიტომ წამოვიდა.

კურსანტები იცინიან... პატარა ცრუმორწმუნეს სიტყვას ამეორებინებენ...

—

მებუკე კრების ნიშანს იძლევა. დღეს პარტიული დღეა.

ღია კრებები გაიმართა: ლენინის კარავში, პოლიტ განმანათლებელ კაბინეტში, სამკითხველოში და კლუბში. ყველგან მოხსენებები და კამათია.

დაწმენდილი ჰაერი და პირდაბანილი მზე ყველას ახალისებს.

სამხკორი ჩვენი.

## სტუმრად მე-9-ე ლეგიონთან.

14 ივნისს დილის 10 საათზე პირველი ლეგიონის წითელ არმიელები გაფაციცებით ემზადებიან მეზობელ მე-9-ე ლეგიონში სტუმრად წასვლისათვის.

ყველა გაიძახოდა; „დღეს სტუმრად მივდივართ მე-9-ე ლეგიონში და ჩვენ მასპინძელთან ერთი კარგი შეჯიბრებაც გვექნებაო“.

აგერ მუსიკაც გამოჩნდა.

ასეულების მორიგეები უკვე მზად იყვნენ წასასვლელად დაწყობილი წითელ არმიელებით.

აქვე მოეწყვნენ ახალწვეულებიც ჩვენთან ერთად წამოსასვლელით.

სიცილ-სიმღერით დაიძრა ლეგიონი.

არ გასულა რამოდენიმე წუთი და ჩვენ უკვე მასპინძელის—მე-9-ე ლეგიონის ეზოში ვართ.

მასპინძლები წყობილებაში ჩამწკრივებული უსაზღვრო სიხარულით შეგვეგებენ.

ურთი-ერთ მისალმების შემდეგ სიტყვას ამბობს მე-9-ე ლეგიონის სამხკომი, რომელიც ვრცლად ახასიათებს ნაწილების ერთი-მეორესთა დაკავშირების და დაახლოების მნიშვნელობას. სიტყვა დაიფარა „ურასა“ და ვაშას ძახილით.

მადლობის ნიშნად სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი ნაწილის შტაბის უფროსმა ამხ. კოტოვანცმა.

სიტყვების დამთავრების შემდეგ ჩვენსა და მათ შორის გაიმართა შეჯიბრება სპორტიულ სხვა და სხვა ვარჯიშობაში.

პირველად ჩვენი წითელი არმიელები მივიდნენ „გიგანტიურ ნაბიჯებზე“ სათამაშოთ. ეს თამაში სრულიად ახალი იყო ჩვენი წითელ არმიელებისათვის და ამიტომ ზოგი მათგანი ეცემოდა ძირს და ზოგიც ვერ ტრიალდებოდა. ამ თამაშმა აუწერელი სიცილ-ხარხარი გამოიწვია დამსწრე წითელ არმიელებში.

ამის შემდეგ გამოდის მე-9-ე ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლა სპორტიულ შეჯიბრებებში.

ჩვენი სპორტ-წრის წევრების რკინის გადაცემამ, ბაწარზე გადახტომამ და ღერძზე ვარჯიშობამ განცვიფრებაში მოიყვანა მე-9-ე ლეგიონელები.

დაბოლოს გაიმართა ფეხბურთა წრეების შეჯიბრება, რომელშიდაც გამარჯვება ჩვენი ლეგიონის ფეხბურთელთა წრეს დარჩა.

სრული ორი საათი იქნებოდა, როდესაც მოეწყო ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელები, გამოემშვიდობნენ მასპინძლებს და საერთო მხიარულით გაემგზავრნენ ბანაკისაკენ.

ასეთმა დაახლოებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. იმედია ხშირად მოაწყობენ ასეთ სტუმრობას.

სამხკორი მ. თ—რია.

## ამხ. ლანცუცკი—1 ლეგიონის საპატიო წითელი არმიელი.

13 ივნისს პირველ ლეგიონში მოწვეულ იქნა უფ-პოლიტ-შემადგენლობისა და წითელ არმიელთა გაერთიანებული კრება, რომლის დღის წესრიგში იყო:

1) მოხსენება რემედასის მნიშვნელობაზე და ამხ. ლანცუცკის არჩევა 1-ლი ლეგიონის საპატიო წითელ არმიელად.

2) მე-XIV-ე პარტ-კონფერენციის დადგენილება კოოპერაციაზე.

3) ლეგიონის საკავშირო კომისიის მოხსენება და მისი არჩევნები და

4) სამნეო კომისიის მოხსენება და არჩევნები.

რემედასის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდღულაძე, რომელიც აცნობს კრებას რემედასის მსოფლიო მნიშვნელობას და მისი ორგანიზაციების მოწყობას სტრუქტურას.

ამასთანავე ერთად მომხსენებელმა კრებას გარკვევით გააცნო ამხ. ლანცუცკის ვინაობა, რის შემდეგ გაერთიანებული კრება ერთხმად ირჩევს ამხ. ლანცუცკის 1-ლი ლეგიონის საპატიო წითელ არმიელად.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კალანდაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ კოოპერაციის წარმოშობის ისტორია და მისი დანიშნულება. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მე-XIV-ე პარტ-კონფერენციის დადგენილებებს კოოპერაციის შესახებ. ამ დადგენილებებში მთავარი ყურადღება მიქცეულია კოოპერაციის გაუმჯობესებისა და გლეხობაზე სამეურნეო იარაღების მიწოდებისაკენ.

საკავშირო კომისიის წარსულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაახია, სამნეო კომისიის მუშაობაზე კი ამხ. იმნაიშვილი. ორივე კომისიის მუშაობა კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. ამის შემდეგ არჩეულ იქნა ამ კომისიების ახალი შემადგენლობა.

სამხკორი შ. კვინიკაძე.

## დრამ წრეს სძინავს.

**პირველი საარტილერიო ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონი ბანაკად გასვლისთანავე შეუდგა საზაფხულო თეატრის აგებას, რომელიც სულ მცირე ხანში იქნა დამთავრებული. პირველად ამხ. არველაძის ხელმძღვანელობით ახალ თეატრში გახსნილი იქნა სეზონი ორ მოქმედებიანი პიესის დადგმით და გვეგონა სისტემატიურად წავიდოდა წარმოდგენები, რაც ასე აუცილებელია ბანაკისათვის. სამწუხაროთ ამ პიესის დადგმით დამთავრდა დრამწრის მოღვაწეობა. მას აქეთ აგერ თვე იქნება რაც წარმოდგენა არ გამართულა. დრამწრის წევრები არ ფიქრობენ ამის შესახებ როგორც სჩანს. მათ მიძინეს.

მართალია ქალებს მოკლებული ვართ, მაგრამ უმათობაც არ უნდა აფერხებდეს საქმეს. საჭიროა გამონახული იქნეს შესაფერი რევოლიუციონური ხასიათის პიესები. ამხ. წრის გამგევ გამოაცოცხლეთ მუშაობა, ნუ გძინავთ!

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ასე არ ვარგა.

ქართული დივიზიის 1-ლ საარტილერიო ლეგიონისა და მე-12-ე მძიმე დივიზიონის საყარაულო დამცველ გუნდის შემადგენლობისათვის ნაწილის ბანაკად გასვლის შემდეგ დატოვებულია ფერშალი ამხ. ვერბიცკი, რომლის მოვალეობას შეადგენს გუნდზე მზრუნველობა ჰიგიენურ-სანიტარული დახმარების გაწევის მხრივ.

მაგრამ ამხ. ვერბიცკი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ის ხანდისხან ცხადდება მიმღებ პუნქტში, რის გამოც ავათმყოფი წითელ-არმიელები თავის დროზე ვერ ღებულობენ დახმარებას.

ვსთხოვთ მიაქციონ ამ მოვლენას სათანადო ყურადღება ვისაც ეს ეხება და აიძულონ ამხ. ვერბიცკი, თუ ყოველდღიურად არა, კვირაში რამოდენიმე დღით მაინც გამოცხადდეს დანიშნულ ალაგას.

წ. არმ. ლეო ფარ—ბელი.

## ჩვენი სკოლა.

**მესამე ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონს ამ უკანასკნელ ხანებამდე არ ჰქონია საკუთარი უნცროს მეთაურთა სკოლა. მხოლოდ ბანაკში გადასვლის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი მისი ჩამოყალიბება, რომელიც შევსებული იქნა მთლიანად ახალწვეულ წითელ არმიელებისაგან. სკოლა მშვენივრად მოეწყო. მასში ას სამოცი მსმენელი ითვლება ჯერ-ჯერობით.

ახალი კურსანტები დიდი მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობას; განსაკუთრებით დიდია მათი ინტერესი პოლიტ ცოდნისადმი. სამხედრო საქმეც ძლიერ აინტერესებთ.

ხშირად მწყობრში სიარულისა და სხვა გვარ მეცადინეობის დროს სჭირს ახალწვეულების გარჩევა ძველი არმიელებისაგან. ისინი დიდ იმედებს იძლევიან და უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზე ლეგიონს ეყოლება მათი სახით წითელი ჯარის ნამდვილი რევოლიუციონური დისციპლინაში აღმზრდელი მეთაურები. გაუმარჯოს მათ მუშაობას.

ჯერ სკოლას არ ყავს მასწავლებელთა სრული შემადგენლობა. იმედია ეს დანაკლისიც გამოსწორდება სათანადო მასწავლებლების გამოძებნით.

სამხკორი ა. ტატიანელი.

## ახკომკავშირელთა შორის.

**სოფლის უჯრედებთან კავშირი.**

სამხედრო პოლიტიკური სკოლის ახკომკავშირელთა უჯრედმა, საბანაკოდ გასვლისთანავე მთელი თავისი ყურადღების ცენტრი გადაიტანა ადგილობრივი სოფლების ახკომკავშირელთა უჯრედებისაკენ. ბიურომ თავის საზაფხულო მუშაობის გეგმაში ეს საკითხი პირველად წამოაყენა. სოფლების უჯრედებზე მიმაგრებული იქნენ ჩვენი უჯრედიდან საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც შესძლებდენ გამოეცოცხლებიათ ჩამორჩენილი სოფლების უჯრედების მოდუნებულ მუშაობას. სკოლის კომუჯრედთან ერთად შეფობის ქვეშ გვყავს აყვანილი ერთ მახლობელი სოფელი. აქაც ვაწარმოებთ მუშაობას შესაძლებლობის ფარგლებში. ვგზავნით სოფლად მომხსენებლებს, ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს; მივდივართ წარმოდგენების დასადგმელად, მიტინგების გასამართავად და სხვა. ადგილობრივი სოფლების უჯრედებზე გაცნობის შემდეგ კურსანტებმა შემდეგი შეამჩნიეს: არის ისეთი უჯრედები, რომლის წევრების უმრავლესობას რუსები შეადგენენ, ამიტომ მოხსენებებიც კეთდება იქ ყოველთვის რუსულად. მეორე მხრივ უჯრედის წევრებად ითვლებიან აგრეთვე რუსულის არა მცოდნე ამხანაგები. მათ მოხსენებების არაფერი ესმით და ყოველთვის უკმაყოფილო და პასიურ როლს თამაშობენ უჯრედის საქმიანობაში.

ჩვენმა ბიურომ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და ასეთ უჯრედებს მიამაგრა, რუსულის კარგად მცოდნე ამხანაგები, რომლებიც რუსულ ენაზე წაკითხულ მოხსენებებს, რუსულის არა მცოდნეთათვის სთარგმნიან ქართულად.

ასეთი უჯრედების ქართველი წევრები სჩიოდენ, რომ ქართული უჯრედის დაარსების ნება არ მოგვცეს და მათი რუსულის ჩვენ არა გვესმის რაო. ცხადია ასეთი მდგომარეობაში მყოფთ ჩვენი წევრების მიმაგრება ძლიერ გაეხარდათ და ყოველთვის დიდი მადლობით გვისტუმრებენ. მეორე მხრივ მიღებული გვაქვს ზომები ქართული უჯრედის დაარსებისათვის.

ჩვენ ახლოს სდგას რუსული პოლიტსკოლა, რომელთანაც მჭიდრო კავშირში ვართ და შეერთებული ძალებით ვაწარმოებთ მუშაობას.

რაც მიზნად გვქონდა დასახული ნაწილობრივად შევასრულეთ. იმედი გვაქვს ასეთივე წარმატებით მოვაგვარებთ სხვასაც რაც დაგვრჩენია გასაკეთებელი.

კურსანტი აქ. ურუშაძე.

## საჭიროა პოლიტხელი.

**კავარმიის ცალკე საჯარიმო ასეულის ცხოვრებიდან.**

ჩვენი ასეული, როგორც უფ-პოლიტ., ისე წითელ არმიელთა შემადგენლობით არის ინტერნაციონალური. აქ არიან: ქართველები, აღერბეიჯანელები, სომხები და სხვა ყველა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა შორის ძლიერ სოლიდარული განწყობილება სუფევს.

დისციპლინა და აღმზრდელობითი საქმე სათანადო სიმაღლეზე სდგას. დაჯარიმებული წით. არმიელები, რომლებიც თავიანთი უცოდინარობით და შეუგნებლობით მოხვდენ საჯარიმო ასეულში სხვა და სხვა ნაწილებიდან, მეთაურთა და პოლიტ-მომუშავეთა დაუღალავი ენერგიული შრომით უბრუნდებიან თავიანთ ნაწილებს სასჯელის მოხდის შემდეგ, სრულიათ გამოსწორებული; შეგნებული, წერა-კითხვა შესწავლილი და გათვითცნობიერებულნი, და სამაგალითო წითელ არმიელებათ ხდებიან ნაწილებში.

ყოველგვარი მეცადინეობა ასეულში ნორმალურათ და სისტემატიურად სწარმოებს.

შრომის კანონები სასტიკათ არის დაცული. წითელი არმიელები თავის დროზე მეცადინეობენ, მუშაობენ, სადილობენ და ისვენებენ.

გვაქვს მშვენივრათ მოწყობილი ლენინის კუთხე განყოფილებებით: პოლიტიკური, საგანმანათლებლო სანიტარული, სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და კედლის გაზეთის. მოგვდის გაზეთები თითქმის ყველა ეროვნულ ენებზე და არმიელებიც გულმოდგინეთ კითხულობენ.

აღსანიშნავია ერთი უარყოფითი და უკანონო გარემოება, და ამას მე მგონი მიაქცევს სათანადო ყურადღებას ჩვენი არმიის ქართული ნაწილების მესვეურები. მიუხედავათ იმისა, რომ ქართული ოცეულის წით. არმიელები შეადგენს მთელი ასეულის 43 პროც. მას არ აქვს პოლიტ-ხელის შტატი, როდესაც რუსული ოცეულს, რომელიც ნახევარი არ არის ქართ. ოცეულთან შედარებით ყავს პოლიტ-ხელი.

რა დააშავა ქართველებმა? საჭიროა მოგვეცეს პოლიტ-ხელი ერთა დაუბრუნოთ ნაწილებს შეგნებულათ გამოსწორებული წით. არმიელები.

სამხკორი სარკე.

## ამბები სოფლებიდან.

**გლეხების ამხანაგობები.**

შორაპნის მაზრაში ამჟამად შემდგარია გლეხების 5 ამხანაგობა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

**გზის შეკეთება.**

სოფ. ჭელიაღელეს და ნიკორწმინდის (რაჭა) აღმასკომების თაოსნობით ახლო ხანში შეუდგებიან ჭელიაღელე-ნიკორწმინდის გზის შეკეთებას.

**გლეხკომების მუშაობის გამოსაცხოველებლათ.**

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა მიილოს ზომები სათემო გლეხკომების მუშაობის გამოსაცხოველებლათ ამ მიზნით სოფლებს ჩამოივლის თვით გლეხკომის თავმჯდომარე.

**მეფუტკრეობის კურსები.**

მეფუტკრეობის საქმის აღორძინების მიზნით ალაზან გაღმა რაიონში (სიღ. მ.) აგვისტოში გაიხსნება მეფუტკრეობის კურსები.

## ახალი ამბები.

— **დებულება სამხ. უჯრედების შესახებ.** პოლიტ-განყოფილებაში უკვე გამოიმუშავეს დებულება სამოქალაქო ორგანიზაციებში სამხედრო კუთხეების გახსნის შესახებ. დებულება დასამტკიცებლათ წარედგინება სათანადო ორგანოებს.

— **მატყლის დამზადება.** მატყლის დამზადების საქმე ამიერ-კავკასიაში მიდის წარმატებით. მარტო საქართველოში ჯერ-ჯერობით დამზადებულია 25 ათასი ფუთი მატყლი.

**წარმოკავშირმა** საზღვარგარეთ შეიძინა ახალი აპარატი რძეში ცხიმოვან ნივთიერებათა გამოსარკვევად.

— **აგარაკებზე გაგზავნა.** უკვე დასრულდა დაზღვეულთა 1-ლი ჯგუფების გაგზავნა ცემ-ში, აბასთუმანში, ბორჯომში და სხვაგან.

— **მანქანის შეძენა.** ტრამვაის დირექციამ გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან სპეციალური მანქანა ტრამვაის ლიანდაგის მოსაგებად.

— **ქუჩების მოსარწყავად** ტრამვაის სახელოსნომ მოაწყო კიდევ ერთი ქუჩების მოსარწყავი ვაგონი.

— **შემოტანა-გატანის გეგმა.** წარმოკავშირმა შეადგინა 1925-26 წ. წ. საქონლის გატანა-შემოტანის (ექსპორტ-იმპორტი) გეგმა.

— **აბრეშუმის თესლის დარიგება.** მეაბრეშუმეობის საქმის გაუმჯობესების მიზნით წელს საქართველოში დარიგდა 88.500 კოლოფი თესლი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

12 ივნისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა, განიხილა მეექვსე ტერ-ლეგიონის მეთაურების: ლაითაძე ილია იოსების ძის, თევდორაშვილი, ვლადიმერ ამირანის ძის და სიდამონიძე ნესტორ ნესტორის ძის საქმე, რომელთაც ბრალდებოდა ხელისუფლების სახელის გატეხა და დამცირება.

ბრალდებული ლაითაძე მსახურებდა მე-6 ლეგიონში, ამავე ლეგიონის მესამე ათასეულის მერვე ასეულის უფროსათ.

ეს ასეული იდგა თელავის მაზრაში, სოფ. ხოდაშენში. ა. წ. 31 მარტს მას ეწვიენ ქ. თელავიდან ხსენებულ ლეგიონის მესამე ათასეულის მეთაურები: სიდამონიძე, თევდორაშვილი და სხვები.

მან გაუმართა ამ უკანასკნელებს ქეიფი, ქეიფით დაითრო ისინი და ასე მთვრალები აიშალენ სუფრიდან.

ლაითაძემ უბრძანა მის ხელქვეით მყოფ სამ ათეულის— კაპეიკინს, რობაქიძეს და ხონე...იძეს, რათა მათ, როდესაც დაიძრებოდა ეტლი მთვრალი მეთაურებით, მის ძახილზე „საპატივცემლო სროლა" „თაფ" გაესროლათ ორ-ორი ვაზნა, რაც ათეულის თავებმა შეასრულეს. გასროლამ გამოიწვია პანიკა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, რომელნიც მოგროვილი იყვნენ იმ სახლთან, სადაც ქეიფობდენ ხსენებული მეთაურები. ბრალდებულნი სიდამონიძე და თევდორაშვილი მსახურობდენ ამავე ლეგიონის მესამე ათასეულის მწყობრის თავებათ, რომელიც იდგა ქ. თელავში.

ა. წ. 31 მარტს ხსენებულ ათასეულის მეთაურებთან ჩიკვაიძე ირაკლი და დიმიტრისთან ერთად გაემგზავრენ სოფელ წინანდალში-და აქედან კი სოფელ ხოდაშენში, სადაც ისენი ეწვიენ მე 8-ე ასეულის უფროსს ლაითაძეს, რომელიცგა უმასპინძლდა მათ; ქეიფის დროს სიდამონიძემ და თევდორაშვილმა ასტეხეს სროლა ოთახში შაშხანიან თოფიდან, ისინი სხვა მთვრალ მეთაურებთან ერთად ჩამოვიდნენ წინანდალში, ი... თევდორაშვილმა, მიუხედავათ იმისა, რომ შუა სოფელში იმყოფებოდა და იქვე იყო რაიონის მილიციის სამმართველო სამჯერ ისროლა შაშხანიანი თოფიდან; შემდეგ მიუხედავათ მილიციის უფროსის წინადადებისა და გაფრთხილებისა თევდორაშვილმა მაინც გასცილდა თუ არა ეტლით სავსე მთვრალი მეთაურებით შუა სოფელს კიდევ გაისროლა და ამ გვარ, მოქმედებით ლაითაძემ, სიდამონიძემ და თევდორაშვილმა სახელი გაუტეხეს ხელისუფლებას.

ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრალდებულებს: ლაითაძეს, სიდამონიძეს და თევდორაშვილს თავისუფლების აღკვეთა გამასახლში მოთავსებით ერთი წლის ვადით, სასტიკი იზოლიაციით თვითეულ მათგანს სამოქალაქო უფლებების შეუზღუდველათ.

გნია.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.